

მედიაწიგნიერების გავლენა, ეფექტურობა და მისი სწავლების მდგომარეობა საქართველოს საუნივერსიტეტო განათლებაში

*ინგოროკვა ნატალია – დოქტორანტი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო*

The Impact of Media Literacy on Education and its Teaching in Georgian Universities

*Ingorokva Natalia – PhD Student, Faculty of Engineering Economics, Social Sciences and
Mediatechnologies, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim: Media literacy is a basic competency of the democratic society. Media freedom and access to information depends on the media literacy skills. Unequal level of media literacy causes unequal opportunities in Georgia. Nowadays media provides a lot communication possibilities and more information than ever before in Georgia. However, it controls our communication at the same time in terms of receiving and giving away the information, what kind of information and in what ways we get and give. The main target of the research is to study the media literacy influences on university education and to conduct a survey to find out current situation in Georgia's university education. Development of literacy of teachers and students in the modern university. Relevance of development of Media literacy of Teachers and Students of university locates in article, caused by change of a role of media in social life and education, transformation of a position of participants of educational process from critical consumers of information on active founders of media content. Today the problem is not to find information but rather to catch true pieces among the huge flow of information. To separate facts and opinions from each other is the biggest challenge of our time. That process gave birth to the media literacy competence which is vital and necessary for 21st century human. It's about how person manages to get along with huge information and having relationship with different sources of information determines his success, his place in society, the benefits and everyday life.

Research methodology: Desk research, depth interviews, questionnaires.

Results and implications: Media literacy conditions will be found out in Georgian university education and the recommendation will be issued.

Conclusion: Media literacy influences will be explored in different countries' university education. The current situation will be surveyed in aspects of teaching media literacy in Georgian universities. The recommendations will be issued based on the research results.

Keywords: media literacy, university education; information depends, literacy skills, communication

Media literacy is a basic competency of the democratic society. Media freedom and access to information depends on the media literacy skills. Unequal level of media literacy causes unequal opportunities in Georgia. Nowadays media provides a lot communication possibilities and more information than ever before in Georgia. However, it controls our communication at the same time in terms of receiving and giving away the information, what kind of information and in what ways we get and give. Communication, based on and controlled by media, presents a challenge for current and future journalists. Taking into account this fact, there are two relevant approaches.

Media offers great opportunities to those citizens who have developed media literacy skills and are able to deal with media reasonably and critically. These people can handle a lot different types and qualities of information.

Media is available to people who do not possess media literacy skills and cannot filter the information. The biggest problem is that discourses are not held for the current and future students about above-mentioned problems, neither the ways these problems can be solved nor the importance of developing media literacy skills. They found out that there are no events organized through this direction (seminars, workshops, etc.) The students have not taken any course or program in media literacy at university that is why they have trouble to differ media education and media literacy.

შესავალი

დღეს, თანამედროვე სამყაროს მოქალაქისათვის, პრობლემას ინფორმაციის მოძიება კი არა, ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში გარკვევა წარმოადგენს. ფაქტისა და მოსაზრების გამოიჯვნა ერთმანეთისაგან, ყალბი და მართალი ინფორმაციის გამორჩევა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა. სწორედ ამ გამოწვევამ გააჩინა თანამედროვე, 21-ე საუკუნის ადამიანისათვის აუცილებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მედიაწიგნიერების კომპეტენცია. ის, თუ როგორ ახერხებს ადამიანი უამრავ ინფორმაციასა და ამ ინფორმაციის გამავრცელებელ სხვადასხვა წყაროსთან ურთიერთობას, განსაზღვრავს მის წარმატებას, მის ადგილს საზოგადოებაში, მის ფუნდამენტურ ღირებულებებს, სარგებელსა და ზიანს პირად ცხოვრებასა და ყოველდღიურობაში. მედიაწიგნიერება მოიცავს ნებისმიერი სახის მედიაგზავნილის შეფასების, ანალიზის, შემოწმების, შექმნის და გავრცელების უნარებს, რაც თანამედროვე სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი უნარებია და ამ უნარებში გაწაფულობა კი დღევანდელი საგანმანათლებლო ინსტიტუტების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რამაც განათლების სისტემის წინაშე კომპეტენციების ფორმირებასთან დაკავშირებული ახალი ამოცანები დააყენა, რომელთა მიზანია, საზოგადოების ადაპტაცია მუდმივცვალებად გარემოსთან. ერთ-ერთი ასეთი კომპეტენცია არის მედიაწიგნიერების განათლება. [1]

მედიაწიგნიერების რაობა, გავლენა და გამოცდილება

საინფორმაციო წიგნიერების ისტორია 1965 წლიდან იწყება. მარშალ მაკ ლოხანმა მოცემული ტერმინი გამოიყენა თავის წიგნში - „მასმედიის საშუალებათა წვდომა, ადამიანური ყოფის ასპექტების განვითარება“. ის წერდა: „...მაშინ, როცა „გლობალური სოფელი“ ხორცს შეისხამს, საჭიროა, რომ ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ ახალ წიგნიერებაზე, რომელსაც ინფორმაციული ეწოდება“

არეი ლან მისტერმანი მასმედიის საშუალებათა საერთაშორისო სწავლების სფეროში გამოჩენილ მეცნიერად მიიჩნევა. 1985 წელს მან „მასმედიის საშუალებათა სწავლება“ (Teaching the media), შემდეგ კი „მასმედიის საშუალებათა სწავლება XX-ე საუკუნის 90-იანი წლების ევროპაში“ გამოსცა. [2]

წინა საუკუნის 20-30-იანი წლები შეგვიძლია ამ სფეროს ფორმირების ათწლეულებად ჩავთვალოთ, ანუ საინფორმაციო წიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების შეკავშირების წლებად. ამ წლებში

აშშ-სა და ინგლისის მთელ ტერიტორიაზე უმაღლეს სასწავლებლებში იხსნებოდა ფილმების ანალიზის დეპარტამენტები, სადაც იმდროინდელი ყველა აქტუალური ფილმი განიხილებოდა .

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაწიგნიერების განვითარება დასაწყისში ნელა მიმდინარეობდა. ამ ქვეყანაში ტერმინები - მედიაწიგნიერება და მედიაგანათლება - ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენებოდა და მხოლოდ XX-ე საუკუნის 90-იან წლებში ამ ორ ცნებას შორის განსხვავება აღიარეს კონფერენციაზე, რომელიც მედიაწიგნიერების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას ეხებოდა. [3]

ზოგიერთ ქვეყანაში საინფორმაციო წიგნიერების შესწავლის საკითხი დღის წესრიგში ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში დადგა. კანადა პირველი იყო, ვინც საინფორმაციო წიგნიერება სკოლის სასწავლო პროგრამაში ოფიციალურ დისციპლინად შეიტანა. ბევრი ქვეყანა კანადას საინფორმაციო წიგნიერების სფეროს ტიპური მოდელის წამყვანად მიიჩნევს და მის გამოცდილებას საკუთარ სახელმწიფოებში ნერგავს.

ზოგიერთი ქვეყნისთვის საინფორმაციო წიგნიერების სწავლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის შესულია როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი სასწავლებლის პროგრამებში. საინფორმაციო წიგნიერების მიზანს მასმედიის საშუალებათა მნიშვნელობის მიწოდება, მასმედიის საშუალებათა ინფორმაციის გაგება და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების დაუფლება წარმოადგენს. ნორვეგიაში 1962 წელს ჩატარებულმა იუნესკოს კონფერენციამ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების სწავლების ჩარჩოები (კრიტერიუმები) დაადგინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტელევიზიას მაყურებელზე უდიდესი გავლენა და ძალა აქვს, კონფერენციის მონაწილეების შეთავაზებით, პედაგოგებს საკუთარ თავზე უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა ადამიანებისთვის კრიტიკული აზროვნებისა და მასმედიის საშუალებების გამოყენების უნარ-ჩვევების სწავლებაზე. [4]

პირველი კვლევა საინფორმაციო წიგნიერების თემაზე კანადაში ჩატარდა. სახელმწიფო სკოლებში საინფორმაციო წიგნიერების სწავლების თვალსაზრისით კანადა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად მიიჩნევა კონფერენციამ განსაზღვრა „კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების“ დაუფლების მიზანი, როგორც „დახმარება კრიტიკული აზროვნების მქონე ადამიანებისა, რომლებსაც სინამდვილის რეალურად აღქმა შეუძლიათ, პროგრამის შერჩევისას სარგებლობენ არჩევანის უფლებით; მსჯელობის უნარის განვითარება, რათა განისაზღვროს კონკრეტული პროგრამის ნაკლი და უპირატესობა; კრიტიკული აზრის გაძლიერება მასმედიის საშუალებებთან მიმართებაში, იმ მიზნით, რომ ცხოვრება უფრო პროდუქტიული გახდეს. ასეთი სწავლება დაეხმარება ადამიანებს ჭეშმარიტების დაცვაში, პიროვნულ განვითარებასა და სხვებთან ერთად ცხოვრების სიხარულით ტკბობაში“ 1978 წელს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების სწავლებამ, იუნესკოს ოფისის მიერ შემოთავაზებულ ოთხ პროექტთან ერთად, სამიზნე აუდიტორიისთვის განვითარების ახალ ეტაპს დაუდო საფუძველი [4]

იაპონიის საინფორმაციო წიგნიერების თემა ორად იყოფა: „საინფორმაციო წიგნიერების კრიტიკული გამოყენება“ და „მასმედიის საშუალებათა ინტელექტუალური გამოყენება“.

მედიაწიგნიერება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს გაჩნდა. ის სხვადასხვა კონცეფციისა და პრაქტიკული მიდგომის ფორმას იღებდა. ქვეყნებში მედიაწიგნიერების უმთავრეს მიზანს

განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის საინფორმაციო უთანასწორობის აღმოფხვრა წარმოადგენს.

სამხრეთ აფრიკაში მედიაწიგნიერების მიზანი საერთო განათლების დონის ამაღლება იყო, მაშინ, როცა ისეთ ინგლისურენოვან ქვეყნებში, როგორცაა შოტლანდია და ავსტრალია, მედიაწიგნიერება ენის უნარ-ჩვევების დაუფლების საშუალებად განიხილება (იგივე წყარო).

ირანის მედიაწიგნიერებას ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. აკილი ამტყვებს, რომ ირანში: „მედიაწიგნიერების შესახებ ლიტერატურა Media Literacy სულ რაღაც სამი-ოთხი წლისაა. აქ ის აღიარებულია ახალ კონცეფციად, რომელიც ძირითადად მასმედიის საშუალებათა წერილობით და სხვა ნაციონალურ საშუალებებს მიეკუთვნება. [5]

საერთაშორისო კვლევები ცხადყოფს, რომ მედიაწიგნიერება პოზიტიურ გავლენას ახდენს სამოქალაქო ჩართულობაზე. ახალგაზრდები, რომლებიც იმ უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, სადაც მედიაწიგნიერება ისწავლება, პოლიტიკურად აქტიურები არიან და შეხედულებათა ფართო სპექტრით გამოირჩევიან. მედიაწიგნიერების მაღალი დონის მქონე ახალგაზრდების 84% მიიჩნევს, რომ მათ ეს უნარები უნივერსიტეტში სწავლის დროს განვითარეს [6]

მედიაწიგნიერება საქართველოში

საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი დიდი თუ მცირე კვლევა, რომელიც აღწერს საერთაშორისო გამოცდილებას მედიაწიგნიერების კუთხით და იმ ტენდენციებს, რომლებიც იკვეთება საგანმანათლებლო კულტურაში მედიაწიგნიერების დანერგვის შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საქართველო აქტიურად ახორციელებდა მედიატექნოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას სკოლებსა და უნივერსიტეტებში, მედიაწიგნიერებისა და მასმედიის განათლების განვითარება საქართველოში ჯერჯერობით ჩამორჩება ევროპულ სტანდარტებს. [7]

ი.ბ. ჩელიშევა საქართველოში მედიაწიგნიერების სწავლებას და პრობლემებს მიმოიხილავს და აღნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოში მიუხედავად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა, მედიაწიგნიერება მხოლოდ ინსტრუმენტის დონეზე განიხილება და მასზე, როგორც მნიშვნელოვანი უნარის სწავლებაზე ჯერჯერობით არაფერი იკვეთება. [8]

საქართველოს წამყვანი სახელმწიფო, მათ შორის რეგიონალური და აკრედიტებული კერძო, უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების გაცნობის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ უმაღლეს საფეხურზე სასწავლო პროგრამები არ ითვალისწინებს მედიაწიგნიერების განათლების განვითარებას და სასწავლო-სალექციო კურსებს. გამონაკლისია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრანტებისთვის სავალდებულო-არჩევითი კურსი მედიაწიგნიერებაში.

დასკვნა

საკითხის შესწავლისას, რაც ეფუძნება საქართველოს უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების მოკვლევას, პირად დაკვირვებას და სტუდენტთა ნარატიულ კვლევას, უმაღლეს სასწავლებლებში მედიარესურსების გამოყენებისას არ არის დაცული მედიაწიგნიერების პრინციპები და სტანდარტი, რაც გავლენას ახდენს სტუდენტის მედიაწიგნიერების უნარზე, რომელიც მიიჩნევა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარად.

გამოყენებული წყაროები

- [1] Potter J. Media Literacy. SAGE Publications Inc, Thousand Oaks, United States
- [2] Share J. Media Literacy is Elementary: Teaching Youth to Critically Read and Create Media.
- [3] <http://mediasmarts.ca/digital-media-literacy/general-information/digital-media-literacy-fundamentals/media-literacy-fundamentals>
- [4] <http://milunesco.unaoc.org/media-and-information-literacy/>
- [5] Sherri H. Culver & Thomas Jacobson Filadelfia, Pennsylvania (USA) Media Literacy and Its Use as a Method to Encourage Civic Engagement. Scientific Journal of Media Education, 2012, XX, 39, 73-80.
- [6] Kahne J., Middaugh E., Lee N-J., Feezell J. T. Youth online activity and exposure to diverse perspectives. New Media & Society, 2011,
- [7] Overview of Information Literacy Resources Worldwide. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO), 2014. p.340)
- [8] ჩელიშვილი ი.ბ. ინფორმაციული წიგნიერების განვითარება საქართველოში. MEDIA EDUCATION 3/2013. p.85-92